პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

პარასკევი, 17 დეკემბერი, 1948 წ. № 249 (8293). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია.

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკე (1-ლი გვერდი).
საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში (მე-2 გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (მე-2 გვერდი).
კ. თავიდაშვილი — საგაზაფხულო თესვისათვის მოვამზადოთ კარგი ხარისხის თესლი (მე-2 გვერდი).
მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).
ვ. თორდუა — ახალგაზრდა პატრიოტები (მე-3 გვერდი).
გავაშენოთ და მოვუაროთ ტყეებს (მე-3 გვერდი).
პატარა ფელეტონი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა ამოცანა

საბჭოთა მეშახტეების — სოციალისტური სამშობლოს მუშათა კლასის ამ მოწინავე რაზმის შრომა ჩვენს ქვეყანაში მუდამ სარგებლობდა და სარგებლობს ლენინ-სტალინის პარტიის, საბჭოთა მთავრობის, მთელი ხალხის განსაკუთრებული მზრუნველობითა და ყურადღებით. ამ ზრუნვასა და ყურადღებას საბჭოთა მეშახტეები ახალ-ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ. როგორც ცნობილია, წელს მეშახტის დღესთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ქვანახშირის მოპოვების გადიდების, ქვანახშირის შახტების აღდგენისა და მშენებლობის საქმეში განსაკუთრებული წარმატებისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა ქვანახშირის მრეწველობისა და ქვანახშირის შახტების მშენებლობის 150 მუშაკს. ამ მოწინავე მეშახტეთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის წარჩინებული ადამიანები — ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტის ჭრეველი ამხ. ა. ქასრაძე, შახტმშენებლობის მოწინავე ბრიგადირი ამხ. პ. ჭელიშვილი და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის ძთხრელთა ბრიგადირი ამხ. მ. ალიაბიევი, რომლებმაც თავიანთი მამაცური შრომით სახელი გაითქვეს არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმდინარე წლის 4 სექტემბრის ბრძანებულებით რესპუბლიკის ასობით მეშახტე დაჯილდოებულია უმაღლესი ჯილდოებით—სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

მეშახტის დღესთან დაკავშირებით დიდი სტალინისათვის გაგზავნილ წერილში საქართველოს მეშახტეებმა იკისრეს 1948 წელს გეგმის გადამეტებით ამოიღონ 30 ათასი ტონა ქვანახშირი და გასულ წელთან შედარებით უზრუნველყონ ქვანახშირის მოპოვების 29,6 პროცენტით გადიდება. ბელადისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება ტრესტებსა და შახტებს შორის, უბნებსა და ბრიგადებს შორის. ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტების მთელმა რიგმა უბნებმა, ცვლებმა და ბრიგადებმა კარგა ხანია გაანაღდეს ნაკისრი ვალდებულებანი. ეს უბნები, ცვლები და ბრიგადები ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის ანგარიშში იღებენ ქვანახშირს. ასობით მეშახტეს შესრულებული აქვს თავიანთი პირადი ხუთწლიანი გეგმა.

მაგრამ ამ წარმატებასთან ერთად, მთლიანად საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში წლიური გეგმის ვადამდე შესრულების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. რესპუბლიკის მეშახტეებმა ვერ შეინარჩუნეს სამეურნეო წლის პირველი ნახევრის წარმატებანი, ვერ უზრუნველყვეს ქვანახშირის მოპოვების თვიდან-თვემდე გადიდება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეშახტეებმა 11 თვეში გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით 23,5 პროცენტით გაადიდეს ქვანახშირის ამოღება, საგეგმო დავალების შესრულებას მაინც დააკლდა 7,1 პროცენტი. განსაკუთრებით საგრძნობია ჩამორჩენა ტყიბულისა და ახალციხის შახტებში. 11 თვის გეგმის მთლიანად შესრულება ვერ უზრუნველყო აგრეთვე ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმაც. ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები შრომის ორგანიზაციის მოუწესრიგებლობა, საშახტო მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოუყენებლობა და შრომის დისციპლინის მოუგვარებლობაა.

ჩვენი რესპუბლიკის შახტები უახლესი ტექნიკით არიან აღჭურვილი. ამ ტექნიკის სრული სიმძლავრით ათვისება, მეშახტეთა სამუშაო ფრონტის კარგად მომზადება, შრომის დისციპლინის განმტკიცება—აი რა უზრუნველყოფს წარმატებას.

საშახტო მექანიზმებს შედარებით კარგად იყენებენ ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტში. ამის შედეგად ამ შახტმა ქვანახშირის ამოღების 10 თვის გეგმა 103,4 პროცენტით შეასრულა. მიუხედავად ამისა, წარმატება კიდევ უფრო მეტი იქნებოდა, რომ შახტის ყველა უბანში ერთნაირი პასუხისმგებლობით ეპყრობოდნენ საშახტო მექანიზმების გამართულ მუშაობას. მაგალითად, შახტის მეორე, მეხუთე და მეექვსე უბნებში მექანიზმების უნარიანი მოვლის შედეგად საგრძნობლად შემცირებულია ავარიების შემთხვევები, მაღალია მექანიზმების ნაყოფიერება. მაგრამ პირველ და მეოთხე უბნებში არაიშვიათია მექანიზმების დაზიანება და ამის შედეგად მეშახტეთა მოცდენა.

მექანიზმების სრული სიმძლავრით გამოყენების მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობაა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტში. ამ შახტის მე-5 საექსპლოატაციო უბანში მარტო ოქტომბერში მექანიზმების დაზიანების 15 შემთხვევა იყო, რის შედეგად ათობით სამუშაო საათი დაიკარგა. ამავე უბანში მოუწესრიგებელია შრომაც. ხშირად პირველ და მეორე ცვლაში საჭიროზე მეტი მეშახტე მუშაობს, ხოლო მესამე ცვლაში საჭიროზე ნაკლები მუშა გამოდის სამუშაოდ. ანალოგიური მოვლენებია ამ შახტის მე-7 საექსპლოატაციო უბანშიც. მექანიზმების სრული დატვირთვით გამოუყენებლობას, მათ ხშირ ავარიას და შრომის დაბალ დისციპლინას უნდა მიეწეროს, რომ შახტი საგრძნობლად ჩამორჩენილია.

შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებაზე, ახალი ტექნიკის ათვისებაზე, საშახტო მექანიზმების მაქსიმალური სიმძლავრით გამოყენებაზე კიდევ უფრო ნაკლებად ზრუნავენ ტყიბულქვანახშირის ტრესტის შახტებში, სადაც თერთმეტი თვის გეგმა არც ერთ შახტს არა აქვს შესრულებული. ნოემბერში საგრძნობლად ჩამორჩა ამ ტრესტის სტალინის სახელობის შახტიც, რომელსაც სამეურნეო წლის პირველ ნახევარში ბევრჯერ მოუპოვებია პირველობა რესპუბლიკის შახტებს შორის.

ჩვენი სამშობლოს მშრომელები უდიდესი წარმატებებით ამთავრებენ ახალი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს. ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლის ავანგარდში, როგორც ყოველთვის, არიან ჩვენი სახელოვანი დედაქალაქ მოსკოვისა და მისი ოლქის მშრომელები. მოსკოველთა წერილმა დიდი სტალინისადმი, მათმა წარმატებებმა და ახალმა ვალდებულებებმა ერთსულოვანი გამოხმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა საქართველოს მრეწველობის მუშაკთა შორის.

უეჭველია, ჩვენი რესპუბლიკის მეშახტეები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ სასახელოდ დაამთავრონ სამეურნეო წელი, მიაწოდონ ჩვენს მზარდ მრეწველობასა და ტრანსპორტს მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირი, მოამზადონ პირობები მომავალ წელს უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და ზეგეგმითი დაგროვების ვალდებულება

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა 11 დეკემბრისათვის 100,1 პროცენტით შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ვადამდე—1 დეკემბრისათვის შესრულებულია აგრეთვე წლის განმავლობაში 12.200.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვების ვალდებულება.

საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის მინისტრმა ამხ. **ლ. რუხაძემ** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს აცნობა, რომ რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა კოლექტივებმა იკისრეს ახალი ვალდებულებანი: წლის დამლევამდე დამატებით გამოუშვან 4.000.000 მანეთის საერთო პროდუქცია და 1.000.000 მანეთი ზეგეგმითი დაგროვება მისცენ სახელმწიფოს.

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ 300 ტონა თამბაქო

აჭარის ასს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა 1948 წლის თამბაქოს დამზადების გეგმა 100,2 პროცენტით შეასრულეს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. **ბეჭვაია** და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გოგოლიშვილი** იუწყებიან, რომ აჭარის კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს წლიური გეგმის გადაჭარბებით ჩააბარონ 300 ტონა თამბაქო.

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის კომუნიკე

მოსკოვში ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ

1948 წლის 7-დან 15 დეკემბრამდე მოსკოვში იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ზაპოტოცკის და დელეგაციის წევრების — საგარეო საქმეთა მინისტრის დ-რ ვ. კლემენტისის, ფინანსთა მინისტრის დ-რ ი. დოლანსკისა და მრეწველობის მინისტრ ა. კლიმენტის მეთაურობით.

მოლაპარაკება და თათბირები, რომლებსაც საბჭოთა მხრივ აწარმოებდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ბ. სტალინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ა. ი. მიქოიანი და რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობას, ისევე როგორც საერთაშორისო მდგომარეობის სხვა საკითხებს, სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით მიმდინარეობდა.

ორივე მოკავშირე სახელმწიფოს წარმომადგენლებმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნეს თავიანთი განუხრელი სურვილი იბრძოლონ მშვიდობის განსამტკიცებლად, დაიცვან ხალხთა საერთაშორისო თანამშრომლობა, პატივი სცენ მათ სუვერენიტეტს და გააღრმავონ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრული ურთიერთობა.

მოლაპარაკების დროს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ეკონომიური თანამშრომლობის საკითხებს.

ამ მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა შემდგომ განვითარდეს ეკონომიური თანამშრომლობა. საბჭოთა კავშირი ხელს შეუწყობს ჩეხოსლოვაკიის წარმოების განვითარებას და ჩეხოსლოვაკიის ეკონომიკის აღდგენას სამეურნეო ფასეულობათა გაცვლის შემდგომი არსებითი გადიდებით: მრეწველობისათვის ძვირფასი ნედლეულის, მნიშვნელოვანი სამრეწველო მოწყობილობის, განსაკუთრებით, მძიმე მრეწველობის, მშენებლობის, მეტყევეობის, მაღაროების მანქანების მიწოდებით და ა. შ.; ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავებითა და გაფართოებით; სესხის მიცემით ოქროთი და თავისუფალი ვალუტით.

თავის მხრივ ჩეხოსლოვაკია საბჭოთა კავშირს მიაწოდებს ნავთის მრეწველობის მოწყობილობას, რკინიგზის მოწყობილობას, ძანუფაქტურულ საქონელს.

ურთიერთ საქონელბრუნვა 1949 წელს 1948 წელთან შედარებით გაიზრდება 45 პროცენტით და მეტით.

მოლაპარაკება და თათბირები მიმდინარეობდა გულითადი მეგობრობისა და მჭიდრო კავშირის სულისკვეთებით. ორივე მოკავშირე მთავრობა დარწმუნებულია, რომ მათი მოლაპარაკების შედეგები არა მარტო ძვირფასი წვლილი იქნება საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში, არამედ აგრეთვე ემსახურება ყველა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებს.

მოსკოვიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

15 დეკემბერს მოსკოვიდან გაემგზავრნენ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ა. ზაპოტოცკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ვ. კლემენტისი, ფინანსთა მინისტრი ბ-ნი ი. დოლანსკი, მრეწველობის მინისტრი ბ-ნი ა. კლიმენტი და სხვა ოფიციალური პირები.

ბელორუსიის ვაგზალზე მიმავალნი გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო ვაჭრობის მინისტრმა ა. ი. მიქოიანმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ი. ს. კონევმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა ა. ი. ვიშინსკიმ და ვ. ა. ზორინმა, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ მ. ა. მენშიკოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. ვ. აბრამოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მეოთხე ევროპული განყოფილების გამგემ ა. მ. ალექსანდროვმა.

მიმავალნი აგრეთვე გააცილეს ჩეხოსლოვაკიის საელჩოს წევრებმა და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურებმა.

ამავე დროს პრაღას გაემგზავრა სსრ კავშირის ელჩი ჩეხოსლოვაკიაში მ. ა. სილინი.

გაცილებისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ჰიმნები. ვაგზალი მორთული იყო ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა ალმებით.

საზღვრამდე დელეგაციას აცილებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ბ. ლაშტოვიჩკა. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ზაპოტოცკის სიტყვა

მოსკოვიდან გამგზავრებისას ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ბ-ნი ა. ზაპოტოცკი ვაგზალზე მიკროფონის წინ გამოვიდა შემდეგი სიტყვით:

„ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო!

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია დღეს მიემგზავრება მოსკოვიდან. მთელი ჩვენი მოლაპარაკება გულითადი მეგობრობის ვითარებაში მიმდინარეობდა. ჩვენ აღსავსენი ვართ სიხარულით, რომ შევხვდით ჩვენი საჭიროების ასეთ უდიდეს გაგებას. საერთო კომუნიკე გამოაცხადებს ჩვენს მიერ მიღწეულ ახალ დიდ შედეგებს. ეს შედეგები მოასწავებენ საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის თანამშრომლობის შემდგომ მნიშვნელოვან განმტკიცებასა და განვითარებას.

საბჭოთა მთავრობისა და განსაკუთრებით ჩვენი ხალხის დიდი მეგობრის გენერალისიმუს სტალინის დიდსულოვნების მეოხებით, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა მიიღებს შემდგომ დახმარებას, რაც სავსებით უზრუნველყოფს ჩვენი მეურნეობის წარმატებით მშენებლობას. ჩვენი მოლაპარაკების შედეგები უზრუნველყოფენ სოციალიზმის გზით მიმავალი ჩვენი სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მომავალს. მოსკოვში ყოფნით ჩვენ ვისარგებლეთ აგრეთვე იმისათვის, რომ უფრო ახლოს გავცნობოდით საბჭოთა დაწესებულებებს, ქარხნებს, კოლმეურნეობებს და საერთოდ საბჭოთა ხალხს. ჩვენ ვნახეთ სასიხარულო მშენებლობა და საბჭოთა ხალხის განსაცვიფრებელი წარმატებანი, სტალინური ხუთწლედის მესამე წლის შედეგები.

ვულოცავთ საბჭოთა ხალხს მის უდიდეს მიღწევებს, რომლებიც განამტკიცებენ საბჭოთა კავშირის—ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთა ურყევი ციხესიმაგრისა და მშვიდობის დასაყრდენის ძლიერებას.

ჩვენ ვნახეთ გულწრფელი მეგობრობის გამოვლინება, რასაც არ დავივიწყებთ. ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაცია მხურვალე მადლობას გიძღვნით აღმოჩენილი სტუმართმოყვარეობისათვის და განსაკუთრებით მოლაპარაკების შედეგებისათვის, რომლებიც მიღწეულ იქნა ნამდვილი მეგობრობისა და კავშირის სულისკვეთებით. მივემგზავრებით რა, ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს ახალ დიდ წარმატებებს.

გაუმარჯოს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხალხებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევ მეგობრობას!

გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ჩვენს დიდ მეგობარსა და მასწავლებელს!

ჩეხოსლოვაკი სტუმრები პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

14 დეკემბერს ჩეხოსლოვაკი სტუმრები — ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ზაპოტოცკი, ფინანსთა მინისტრი ი. დოლანსკი და მრეწველობის მინისტრი ა. კლიმენტი ეწვივნენ პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს. სტუმრები მიიღეს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ვ. კუზნეცოვმა, საბჭოს მდივნებმა მ. პ. ტარასოვმა, ლ. ნ. სოლოვიოვმა და ა. პ. ოსიპოვმა. მიღებას დაესწრო პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს საერთაშორისო განყოფილების გამგე. ს. ნ. როსტოვსკი.

საუბარმა გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

საქართველოს კ. პ. (ბ) **XIV** ყრილობის შესახვედრად

ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის მოწინავე მებრძოლნი

ვ. დანელია

თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მაუდის საამქროს ოსტატი

წინათ მაუდის საამქრო ჩამორჩენილი იყო, გეგმებს ვერ ასრულებდა და ამით იწვევდა პარალელური საამქროს — მაუდის საქსოვი საამქროს ჩამორჩენას. მაუდის მქსოველებს ნართს ჩვენი საამქრო უმზადებს. გასაგებია, რომ თუ მათ შეუფერხებლად არ მივაწვდით ნართს, მათი მუშაობა გაძნელდება. მიმდინარე წელს ჩვენ გავაუმჯობესეთ მუშაობა და ნართის გამოშვების გეგმას დიდი გადაჭარბებით ვასრულებთ. წლიური გეგმა საამქროს 11 თვეში შესრულებული აქვს 103,1 პროცენტით.

მუშაობის გაჯანსაღება მიღწეულ იქნა საამქროს მუშაობაში ტექნიკურ შეფერხებათა ლიკვიდაციისათვის ბრძოლის გაძლიერებით. მანქანა-დანადგართა (უმთავრესად სელფაქტორების) გაცდენა შევამცირეთ 11 პროცენტიდან, 6,8 პროცენტამდე. გარდა ამისა, დიდ ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ რაციონალურად მოვაწყოთ შრომა სელფაქტორებზე. უკვე მოვათავეთ მზადება 1949 წლისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად და მოსკოველთა მოწოდების საპასუხოდ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას საამქროს კოლექტივი დიდი წარმატებით შეუდგა. დეკემბრის პირველი დეკადის გადიდებული საწარმოო დავალება საამქრომ შეასრულა 120 პროცენტით, ანუ 3 პროცენტით გააძლიერა

სამრეწველო წარმოების ტემპი ნოემბრის პირველ დეკადასთან შედარებით. საქართველოს ბოლშევიკების მორიგი ყრილობის აღსანიშნავად საამქროს მიერ დეკემბრისათვის ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით არის განაღდებული. ჩვენ ვიკისრეთ დეკემბრის ბოლოს გეგმის გადამეტებით გამოგვეშვა 55 ტონა ნართი. 13 დეკემბრისათვის გეგმის გადამეტებით უკვე გამომუშავებულია 87,5 ტონა მაღალხარისხოვანი სამაუდე ნართი. ეჭვი არ არის, ყრილობის გახსნისათვის ნაკისრ ვალდებულებას, სულ ცოტა, სამმაგად მაინც შევასრულებთ.

საწარმოთა ახალი ვალდებულებანი

საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სურამის კირის ქარხანამ 5 დეკემბრისათვის შეასრულა საქარხნო ხუთწლიანი გეგმა, 9 პროცენტით შეამცირა პროდუქციის თვითღირებულება, 42 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, დაზოგა 600 ტონა ქვანახშირი, ათასობით ტონა კირქვა და თერთმეტ თვეში სახელმწიფოს მისცა 90 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ამ წარმატებებით აღფრთოვანებულმა ქარხნის კოლექტივმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად იკისრა 25 დეკემბრისათვის დაამთავროს ახალი წლისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, იანვრის საწარმოო გეგმა შეასრულოს ყრილობის გახსნის დღისათვის და იანვარში სახელმწიფოს მისცეს 10 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

* * *

წულუკიძის ძაფსალებმა ფაბრიკამ 9 დეკემბერს შეასრულა წლიური გეგმა. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის აღსანიშნავად ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით მისცეს სამშობლოს 2.500 კილოგრამი მაღალხარისხოვანი გრეჟა.

სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით

სტახანოველები ამრავლებენ წარმატებას

მიმდინარე წლის დასაწყისში თბილისის საწარმოებში გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება პროფესიების მიხედვით, კვლავ წარმატებით გრძელდება. ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთ ლითონდამმუშავებელ საწარმოში მომუშავე მოწინავე სტახანოველთა 11 თვის მუშაობის შედეგებს.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის სამჭედლო საამქროს მჭედლებს შორის პირველობას ინარჩუნებენ სტახანოველი მჭედლები კ. ილურიძე და ვ. გამხუაშვილი, რომლებმაც 11 თვეში ორნახევარი წლის გეგმები გაანაღდეს. მ. გუგულაშვილმა, ვლ. ხარჩილავამ და ს. ტურაშვილმა ორ-ორი წლის ნორმები შეასრულეს. მჭედელი პ. ზაიჩენკო ყოველთვიურად დავალებებს 210 პროცენტით ასრულებს, ს. ამბარცუმიანი—205, ვ. ესებუა—190 პროცენტით. კომკავშირელმა მჭედელმა მ. ვაშაკიძემ 11 თვეში წლისა და 4 თვის ნორმა გამოიმუშავა.

ლითონმსხმელებს შორის პირველ ადგილზეა შეჯიბრების ინიციატორი თ. ლორთქიფანიძე. მისმა ბრიგადამ, რომელშიც კ. ბახტაძე და ა. გაბროშვილი მონაწილეობენ, 11 თვეში ორი წლის ნორმას გადააჭარბა. ლითონმსხმელებმა გ. ლაგრაძემ და ზ. რაზმაძემ გაანაღდეს თვითეულმა წლისა და ხუთი თვის ნორმა.

მემოდელე ვ. სადჩიკოვმა ამავე პერიოდში 3 წლისა და 3 თვის გეგმა შეასრულა. მეყალიბე ნ. ანისიმოვმა წლისა და 7 თვის.

თბილისის საორთქლმავლო დეპოში მჭედლებს შორის ყველაზე მაღალი საწარმოო მაჩვენებელი აქვს მ. ინჯიაშვილს. 11 თვეში მან წლისა და სამი თვის ნორმა გამოიმუშავა. მეორე ადგილზეა ვ. გაბინაშვილი, მესამეზე—ზ. ხეჩუაშვილი. მჭედელმა ი. ბერიაშვილმა უზრუნველყო წლისა და რვა თვის გეგმის შესრულება

ლითონმსხმელმა ვ. ჩხეიძემ ამავე პერიოდში 2 წლისა და ორი თვის გეგმა შეასრულა, მეყალიბეებმა ა. აკოპიანმა და ა. ხაჩატურიანმა—წლინახევრისა თვითეულმა.

ზეინკლებს შორის კვლავ პირველ ადგილზეა წარჩინებული სტახანოველი მ. ხმიადაშვილი, რომელმაც 11 თვეში 4 წლის ნორმას გადააჭარბა. მეორე ადგილზეა ა. ლაზარევი, (შეასრულა 2 წლისა და 5 თვის ნორმა), მესამეზე — ნ. პაპაშვილი — (შეასრულა 2 წლისა და 4 თვის ნორმა).

ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის სამჭედლო საამქროს მჭედლებს შორის პირველობას ინარჩუნებს სტახანოველი მჭედელი ზ. ბორზუჩენკო. მან 11 თვის დავალება 278,6 პროცენტით შეასრულა. მეორე ადგილზეა სტახანოველი მჭედელი ა. რომელაშვილი; მან 11 თვის გეგმა 220,3 პროცენტით გაანაღდა. მესამე ადგილზეა ზ. წამალაშვილი. მისი საწარმოო მაჩვენებელია 196,1 პროცენტი.

საყალიბე საამქროს სტახანოველებს შორის პირველ ადგილზეა ს. ესკინი, რომელიც ყოველთვიურ დავალებას 350-400 პროცენტით ასრულებს, ხოლო 11 თვის გეგმა 372,6 პროცენტით გაანაღდა. მეყალიბეთა შორის შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა სტახანოველი ნ. წიქორიძე, რომელმაც 11 თვეში 2 წლისა და 2 თვის ნორმა გამოიმუშავა. მეყალიბე ბ. სუხოვმა 11 თვის გეგმა 272,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო ნოემბრისა—366 პროცენტით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

1948 წლისათვის სტალინური პრემიების კანდიდატთა წამოყენების შესახებ

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში 1948 წლისათვის სტალინური პრემიების მოსაპოვებლად ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა წარდგენა იწარმოებს 1949 წლის 15 იანვრამდე.

განსახილველად მიიღება ხელოვნებისა და ლიტერატურის დამთავრებული ნაწარმოებნი, რომლებიც პირველად არის გამოქვეყნებული ან შესრულებული 1947 წლის დამლევს და 1948 წელს.

1948 წლისათვის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ ყველა წინადადება უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. მოსკოვი, სამხატვრო თეატრის გასასვლელი, 3, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი.

ბრძანებულება
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების მუშაკებისა და აქტივისტების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშრომელთა ფართო მასებში სანიტარული კულტურის დანერგვისა და მასობრივი სანიტარული და საშუალო სამედიცინო კადრების მომზადების საქმეში წარმატებით მუშაობისათვის, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების 25 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. **ანდრიაძე** ალექსანდრე ნესტორის-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების ფოთის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე,
2. **ართიანი** ბაბკენ ენოქის-ძე — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ც. კ-ის საორგანიზაციო-მასობრივი განყოფილების უფროსი,
3. **ბალიშვილი** დარია ილიას ასული—საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ც. კ-ის საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსი,
4. **ბესტაევა** რაისა დურმეის ასული — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელ დისევის სამეანო პუნქტის სამედიცინო და,
5. **ბოკერია** ალექსანდრა ილიას ასული—დონორი-აქტივისტი,
6. **ბურდული** ვლადიმერ ალექსის-ძე — თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე,
7. **გაჩეჩილაძე** მიხეილ მელიტონის-ძე — ექიმი, საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ც. კ-ის პრეზიდიუმის წევრი,
8. **გელენიძე** ოლღა კონსტანტინეს ასული — აფხაზეთის ასსრ სოხუმის რაიონის სოფელ ლეჩკოპის კოლმეურნეობა „მეგობრობის" წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე,
9. **გველესიანი** გრიგოლ ბესარიონის-ძე — ექიმი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების წითელი ჯვრის რაიონული კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი,
10. **გიორგაძე** ივანე მელიტონის-ძე — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშა, წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტი,

[illegible]

...მუშა, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე,

22. **მალაზონია** შალვა კონსტანტინეს-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების მახარაძის რაიონული კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე,
23. **მარტინოვი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე—საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ც. კ-ის პრეზიდიუმის წევრი,
24. **მთვარელიძე** ელენე იოსების ასული — თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის სტახანოველი, წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტი,
25. **მუმლაძე** ზინაიდა გრიგოლის ასული — აფხაზეთის ასსრ წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე,
26. **ნოზაძე** ნინო გიორგის ასული—ექიმი, სიღნაღის რაიონის წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტი,
27. **პაატაშვილი** ივანე დიმიტრის-ძე—წითელი ჯვრის საზოგადოების თელავის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე,
28. **რიჟინაშვილი** ზინაიდა შალომის ასული —დუშეთის რაიონის სოფ. მლეთის საექიმო პუნქტის გამგე, წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტი,
29. **რუხაძე** ოლღა ალექსის ასული—ინჟინერი, თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე,
30. **სიზრანოვა** მარიამ ანდრიას ასული — თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის წითელი ჯვრის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე,
31. **ქურციკიძე** დარეჯან გიორგის ასული—დიასახლისი, თბილისის სტალინის სახელობის რაიონის წითელი ჯვრის საზოგადოების აქტივისტი,
32. **ყურაშვილი** ვერა სტეფანეს ასული — სამედიცინო და, ცაგერის რაიონის სოფ. ზედაღვეის კოლმეურნეობა „წითელი ხევის" წითელი ჯვრის საზოგადოების...

[illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე [illegible]

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი [illegible]

ქ. თბილისი, 1948 წ. 14 დეკემბერი.

სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმი

15 დეკემბერს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის XII პლენუმი. [illegible]

ახალი ჯიშის საგაზაფხულო ხორბალი

ოდესა. (საკდესი). [illegible]

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

1948—1949 სასწავლო წლის ზამთრის არდადეგების დროს მოსწავლეთა კულტურული მომსახურების შესახებ

[illegible]

...ლი ყინულზე, მოთხილამურეთა ლაშქრობა, ნორჩ სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები, ბავშვებისა და სპორტის ოსტატთა შეხვედრა დილის 10 საათიდან საღამოს 6 საათამდე მოსწავლეთა განკარგულებაში უნდა იყოს უფასოდ სტადიონები, სასრიალო მოედნები, სათხილამურო ბაზები და სხვ.

პროფკავშირულ ორგანიზაციებს რჩევა მიეცათ დასასვენებელი სახლებისა და პიონერთა სტაციონარული საზამთრო ბანაკების ბაზაზე მოაწყონ მოსწავლეთა დასვენება ზამთრის არდადეგების პერიოდში (1949 წლის 1-დან 12 იანვრამდე). (საკდესი).

ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 30-ე წლისთავი

ვილნიუსი, 15 დეკემბერი (საკდესი). დღეს სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში შედგა მშრომელთა დეპუტატების ვილნიუსის საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომა პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების 30-ე წლისთავისადმი.

პრეზიდიუმში არიან ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. სნეჩკუსი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გედვილასი, ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. პალეცკისი, ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხ. ოზარსკი და ნიუნკა, ძველი ბოლშევიკები—ლიტვაში რევოლუციური ბრძოლის აქტიური მონაწილენი.

მქუხარე ოვაციით ხვდებიან წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ იბრძოდნენ ლიტვის მშრომელნი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად, გააკეთა ლიტვის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ნიუნკამ.

მომხსენებელმა ილაპარაკა სახელოვან რევოლუციურ ამბებზე, რომლებსაც 1918 წლის დეკემბერში მოჰყვა ლიტვაში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ლიტვის ახალგაზრდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ მაშინ ამხედრდა საერთაშორისო რეაქცია. იმპერიალისტები დაეხმარნენ ლიტვის ბურჟუაზიას ბურჟუაზიული დიქტატურის დამყარებაში. მხოლოდ 1940 წლის 21 ივლისს, კაპიტალისტთა და მემამულეთა ხელისუფლების დამხობის შემდეგ, ლიტველმა ხალხმა კვლავ აღადგინა საბჭოთა წყობილება.

ამხ. ნიუნკამ თავის მოხსენებაში დიდი ადგილი დაუთმო ლიტვის სსრ მშრომელთა მიღწევებს სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებაში.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

ლიმონ-ფორთოხალი „უზბეკეთი"

სამარყანდი, 16 დეკემბერი. (საკდესი). უზბეკეთის უხუცესმა მეციტრუსემ ვ. ს. პანინმა (სამარყანდის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობა) გამოიყვანა ლიმონისა და ფორთოხლის ჰიბრიდის ახალი ჯიში „უზბეკეთი". მცენარე 165 გრამამდე წონის ნაყოფს იძლევა.

წარჩინებულმა მიჩურინელმა სამარყანდის ოლქის კოლმეურნეობებისათვის დაამზადა ლიმონ-ფორთოხალ „უზბეკეთის" ათასი ნერგი. ციტრუსოვან მცენარეებს გამოიყვანენ არა სათბურებში, არამედ დაუთბობელ გრუნტის ფარდულებში.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე

მაიაკოვსკი

[illegible]

...ვშირული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ა. მერცხულავამ.

ხაშური

ხაშურის რაიონის პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. ფოფხაძემ, რომელმაც ილაპარაკა, თუ რა მუშაობა გასწია პარტიულმა ორგანიზაციამ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული დადგენილების საფუძველზე მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის. საანგარიშო პერიოდში, 1940 წელთან შედარებით, 629 ჰექტარით გადიდდა ნათესი ფართობი, გაიზარდა მოსავლიანობა, პირუტყვის სულადობა.

— ამ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად, — ამბობს მომხსენებელი, — მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. ამაღლდა კომუნისტთა თეორიული მომზადების დონე. ამჟამად რაიონში შექმნილია პარტიის ისტორიის შემსწავლელი 45 წრე, სადაც გაერთიანებულია 699 კომუნისტი, და 87 პოლიტსკოლა, რომლებშიც სწავლობს 1.648 კომუნისტი.

სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. ლორიას მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 17 ამხანაგმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად, პრაქტიკული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლად არჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. გ. ფოფხაძე, მეორე მდივნად — ამხ. გ. ცუცქირიძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. გ. მეტრეველი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ლელაშვილი. (საკ. კორ.).

ლანჩხუთი

ლანჩხუთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე, რომელიც ამ დღეებში შედგა, საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. შ. ხიტირმა.

მომხსენებელმა ილაპარაკა იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც მოიპოვეს რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდების დარგში.

საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები, გაუმჯობესდა მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან, განმტკიცდა პარტიული დისციპლინა კომუნისტებს შორის, ორგანიზებულად დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობს სასწავლო წელი პარტიული განათლების ქსელში.

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად, აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. შ. ხიტირი, მეორე მდივნად—ამხ. ვ. კიკვაძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ი. კეკელიძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. ვ. კუპრაძემ. (საკ. კორ.).

საგაზაფხულო თესვისათვის მოვამზადოთ კარგი ხარისხის თესლი

საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს სასოფლო - სამეურნეო კულტურების თესლის წარმოება. წლითიწლობით სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა კარგი ხარისხის სათესლე მასალის მომზადებას. 1946 წელს თესლის მომზადების რესპუბლიკური გეგმა 109 პროცენტით იქნა შესრულებული, 1947 წელს—116 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წელს—118 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშიანი და ხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა წითელწყაროს, ლაგოდეხის, მახარაძის, ლანჩხუთის, აბაშისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებში. მაგრამ ჯერ კიდევ ყველგან როდი მუშაობენ დამაკმაყოფილებლად. ზოგან არასაკმაო ყურადღებას აქცევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების თესლის გამოყვანას და თესვისათვის კონდიციური სათესლე მასალის მომზადებას. ამის შედეგად მცირე მოსავალსაც იღებენ. ასე მოხდა, მაგალითად, 1945, 1946 და 1947 წლებში საგარეჯოს, მცხეთის, თელავის, ახმეტის, დუშეთის, ახალქალაქის, ხაშურისა და დმანისის რაიონებში, სადაც ხშირად თესავენ დანაგვიანებულ და ზოგჯერ მავნებლებით და სხვადასხვა სენით დაზიანებულ თესლს. მსგავსი ფაქტები ნაწილობრივ წელსაც განმეორდა. მაგალითად, დმანისის რაიონის სოფელ ქიზილ-ქილის ბაგიროვის სახელობის კოლმეურნეობამ ვაზაფხულზე დათესა 160 ცენტნერი ასლის ისეთი თესლი, რომელშიც, გარდა სხვა ნარჩენებისა, თვითეულ კილოგრამში 300 ცალზე მეტი სარეველა ბალახის თესლი იყო. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ხაშურის რაიონის სოფელ კაკალათხევის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარეა ს. ლაბაძე, 72 ჰექტარ ფართობზე დათესა დანაგვიანებული ხორბლის თესლი, რომლის ყოველ კილოგრამში 290 ცალი სარეველა ბალახის თესლი ერია. ასევე უხარისხო ხორბლის თესლით დათესეს 6 ჰექტარი ფართობი ამავე რაიონის სოფელ ბრილის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში.

თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კოლმეურნეობა „პირველ მაისში" (თავმჯდომარე არუთინოვი) მიმდინარე წლის შემოდგომაზე 200 ცენტნერი ხორბლის დანაგვიანებული თესლით დათესილია 130 ჰექტარი. ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ თესლის ყოველ კილოგრამში 14.320 ცალი სხვა მცენარის თესლი იყო შერეული, ესე იგი ყოველ ჰექტარზე ჩათესილია 2 მილიონზე მეტი სარეველას თესლი, რაც, ცხადია, დიდი დანაშაულია.

ახმეტის რაიონის სოფელ მაღრაანის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე დვალიშვილი) მიმდინარე წლის შემოდგომაზე დანაგვიანებული ხორბლის თესლით 112 ჰექტარი დათესა, ახალქალაქის რაიონის სოფელ არაგვას კამოს სახელობის კოლმეურნეობამ უხარისხო ხორბლის თესლით დათესა 4 ჰექტარი. მსგავს შემთხვევებს ადგილი ჰქონდა აგრეთვე საგარეჯოს, კასპისა და გორის რაიონების ცალკეულ კოლმეურნეობებში. აქედან ცხადია, თუ რატომ იღებენ ამ რაიონების კოლმეურნეობებში მარცვლეული კულტურების დაბალ მოსავალს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად გააფრთხილეს სასოფლო რაიონებისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები 1949 წლის საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო თესლის გამოყოფისა და მომზადების შესახებ. მიუხედავად ამისა, ბევრგან ჯერ კიდევ ვერ არის დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებს მომზადებული ჰქონდათ 19.938 ცენტნერი მარცვლეულისა და პარკოსანი კულტურების თესლი, რაც გეგმის მხოლოდ 6,8 პროცენტს შეადგენს. ამ რიცხვისათვის კასპის, საგარეჯოს, ამბროლაურის, ონის, ასპინძის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონების კოლმეურნეობებს თესლის მომზადება დაწყებულიც არ ჰქონდათ. ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებს მომზადებული აქვთ 367 ცენტნერი თესლი, რაც გეგმის 9,7 პროცენტს შეადგენს, დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებს 148 ცენტნერი, ანუ გეგმის 2,3 პროცენტი, თელავის რაიონისას გეგმით გათვალისწინებული 2.032 ცენტნერის ნაცვლად —36 ცენტნერი (გეგმის 1,7 პროცენტი). წალკის რაიონის კოლმეურნეობებს 1949 წლის საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებული აქვთ საჭირო თესლის მხოლოდ 7,8 პროცენტი, ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებს კი— 120 ცენტნერი, ნაცვლად 3.423 ცენტნერისა.

შემოწმებით დადასტურებულია, რომ ზოგიერთი რაიონის კოლმეურნეობებს 1949 წლის საგაზაფხულო თესვისათვის გამოყოფილი და საწყობებში შენახული აქვთ თავთავიანი და სხვა კულტურების ძალზე დანაგვიანებული თესლი. მაგალითად, დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ნ. სამაშვილი) საწყობში შენახული აქვს 54 ცენტნერი ქერის ისეთი თესლი, რომლის ყოველ კილოგრამში 200 ცალი სარეველა ბალახის თესლია შერეული. ამავე სოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ლალიაშვილი) საწყობში შენახულ 60 ცენტნერ ქერის თესლში 7 ცენტნერამდე სარეველა ბალახის და სხვა მცენარეთა თესლია. წალკის რაიონის სოფელ იმერას კიროვის სახელობის კოლმეურნეობას გამოყოფილი აქვს საგაზაფხულო ქერის 150 ცენტნერი თესლი, რომელშიც 18 პროცენტი სარეველა ბალახისა და სხვა მცენარეთა თესლია შერეული. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არ არის ამავე რაიონის სოფელ ხადიკის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაშიც. აქ გამოყოფილი საგაზაფხულო ხორბლის 200 ცენტნერი თესლის თვითეულ კილოგრამში 4.960 ცალი მავნე სარეველა ბალახის თესლია შერეული.

თესვისათვის ხარისხოვანი თესლის გამოყოფასა და მომზადებაში არსებული ჩამორჩენა იმის შედეგიც არის, რომ რაიონების თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციები და მათი ლაბორატორიები თესლის ხარისხზე სახელმწიფო კონტროლს ისე ვერ ახორციელებენ, როგორც ეს საჭიროა. ცალკეული რაიონების თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ უწევენ კონკრეტულ დახმარებასა და ხელმძღვანელობას თესლის გამოყვანასა და მომზადებაში. ამ მდგომარეობით უნდა აიხსნას კერძოდ ის ფაქტი, რომ ახალქალაქის (ინსპექციის უფროსი სარათსალანიანი), საგარეჯოს (უფროსი ქვლივიძე), ცხაკაიას (უფროსი ოსკანოვა), ამბროლაურისა (უფროსი ფანჯავიძე) და ცაგერის (უფროსი ფრუიძე) რაიონების თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციებს მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის არც ერთ კოლმეურნეობაში არ ჰქონდათ შემოწმებული საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომზადების მიმდინარეობა.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები თესლის ხარისხის ინსპექციებსა და ლაბორატორიებს არ უწევენ სათანადო დახმარებას. ამით უნდა აიხსნას, რომ ქუთაისის, მცხეთის, სამტრედიის, ვანის, წალენჯიხის, გუდაუთისა და ოჩამჩირის რაიონების ინსპექციის ლაბორატორიებისათვის შესაფერისი ბინებიც არ გამოუყვიათ. ამით ლაბორატორიებს ხელი ეშლებათ იმაში, რომ წესიერად მოახდინონ თესლის ხარისხის ანალიზი.

საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესო ხარისხის თესლის მომზადება დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმეა. კარგი თესლი უხვი მოსავლის საწინდარია.

უახლოეს დღეებში უნდა მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას 1949 წლის გაზაფხულისათვის სათესლე მასალის მომზადების საქმეში. სათესლე მასალის გამოყოფასთან ერთად აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სათესლე მასალის ხარისხს, მარცვლის წესიერად შენახვას. თესლის გაწმენდა, დახარისხება და მისი სათესი კონდიციურობის უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი ამოცანაა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. სათესლე ფონდის შექმნა დამთავრებულად არ ჩაითვლება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება დაწესებულ მოთხოვნებს.

სოფლის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მეთესლეობის დარგის მომუშავეთა ვალია აქედანვე შეუდგნენ საგაზაფხულო თესვისათვის კარგი ხარისხის თესლის მომზადებას და ამით მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლისათვის უხვი მოსავლის მიღებას.

ქ. თავიდაშვილი

საქართველოს სსრ თესლის ხარისხის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი

ახალი მიღწევებით

ცხაკაია. (საკ. კორ.). კოლმეურნეები ენერგიულად მუშაობენ, რათა ახალი მიღწევებით შეხვდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას. ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა იკისრეს გამოიყვანონ 80 ათასი ძირი ევკალიპტის სტანდარტული ნერგი, აითვისონ 30 ჰექტარი ყამირი და მოხნან 100 ჰექტარი მარცვლეული კულტურებისათვის. ახალსოფლელები ჩაატარებენ საჭირო მზადებას კოლმეურნეობაში რადიოკვანძისა და ელსადგურის მშენებლობის დასაწყებად 1949 წლის პირველ კვარტალში.

რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები მახარაძელთა მოწოდების პასუხად საბჭოთა კავშირის იმ კოლმეურნეობებს, სადაც ციტრუსები და ევკალიპტი გაშენდება, გადასცემენ 150 ათას ცალ ევკალიპტის ნერგს, ნაცვლად განზრახული 100 ათასისა.

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა გაჩაღდა

თბილისის კიროვის რაიონში სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება დროულად დაიწყო. ჯერ კიდევ ნოემბერში პარტიის კიროვის რაიკომის ბიურომ მიიღო სპეციალური დადგენილება არჩევნების მზადებასთან დაკავშირებით. პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს დაევალათ ფართოდ გააჩაღონ სააგიტაციო მუშაობა მოსახლეობაში, გააცნონ მათ არჩევნების დებულება. აგიტატორთა დასახმარებლად ეწყობა ლექციები საბჭოთა კონსტიტუციის საკითხებზე, საარჩევნო სისტემაზე. აგიტატორებად გამოყოფილი არიან რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლები: ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები. ნაყოფიერ სააგიტაციო მუშაობას ეწევიან ექიმები ნ. ყურაშვილი, თ. ჭელიძე, მასწავლებლები ე. მახარაძე, მ. ცინცაძე.

ამ დღეებში მოეწყო აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი, წაკითხულ იქნა ლექცია სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულების არჩევნების შესახებ. მცირერიცხოვან პარტორგანიზაციებში მოეწყო ლექცია თემაზე: „სახალხო სასამართლო სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში“. რაიონის საწარმო-დაწესებულებებში ეწყობა ლექციები საბჭოთა კონსტიტუციის საკითხებზე.

ამჟამად რაიონში მიმდინარეობს მოსამართლეთა საანგარიშო მოხსენებანი. უკვე მოეწყო 11 მოხსენება. ფაბრიკა „საქართველოს ტრიკოტაჟში“ ანგარიში ჩააბარა რაიონის პირველი უბნის მოსამართლემ ამხ. ჟორდანიამ. მეორე უბნის მოსამართლემ ამხ. ბაბუციძემ მოხსენება გააკეთა ბამბის ფაბრიკასა და აღრიცხვის სამმართველოში.

დაიწყო საარჩევნო სიების შედგენა და საარჩევნო პუნქტების საზღვრების დაზუსტება.

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებსა და ქალაქის მოსახლეობაში საარჩევნო დებულების ახსნა-განმარტებას ეწევა 550-მდე აგიტატორი. ლენინის, სტალინის და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების პერიოდში დამატებით გამოიყო აგიტატორები.

შეიქმნა 13 აგიტპუნქტი, რომლებიც კარგად არიან გაფორმებული. დაწესებულია აგიტატორებისა და კონსულტანტების მორიგეობა.

საჩხერე. (საკ. კორ.). რაიკომის პარტკაბინეტში, კულტურის სახლში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო გამოფენები, მიძღვნილი სახალხო სასამართლოების არჩევნებისადმი. რაიონული კომიტეტის პროპაგანდისტები და ლექტორები კოლმეურნეობებში აწყობენ ლექციებსა და მოხსენებებს თემებზე: „ლენინი და სტალინი საბჭოთა დემოკრატიის შესახებ“, „საბჭოთა მართლმსაჯულების საფუძვლები“ და სხვ.

არჩევნების დებულების პოპულარიზაცია წარმატებით დაიწყო ლიჩის სასოფლო საბჭოში შემავალ კოლმეურნეობებში. აქ შექმნილია დებულების შემსწავლელი 21 წრე, სადაც უკვე მოეწყო პირველი მეცადინეობანი. კარგი მუშაობით გამოირჩევიან სოფელ ვაკისის და ქვედა ლიჩის კოლმეურნეობათა აგიტატორები შოთა და ირაკლი ლომიძეები.

არჩევნებისათვის მზადება ორგანიზებულად მიმდინარეობს ჯალაურთის, სარეკის, საირხის, ჩიხის და კორთულის სასოფლო საბჭოებში.

კასპი. (საკ. კორ.). რაიონულ თათბირზე, რომელსაც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეები, მათი მდივნები, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები და აგიტპუნქტების გამგეები დაესწრნენ, განიხილეს სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის ორგანიზაციულ-ტექნიკური მზადებისა და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების საკითხები.

ცემენტის ქარხანაში 18 აგიტატორი ეწევა საარჩევნო დებულების განმარტებას. ქარხნის პარტბიურომ დამატებით გამოჰყო 22 აგიტატორი, რომლებიც მუშათა საერთო საცხოვრებლებში შეუდგნენ საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას. ნაყოფიერად მუშაობენ მოწინავე აგიტატორები გ. გიორგაძე, ვ. წერეთელი, აკ. შარიქაძე, ბ. ვასილიევი და ვლ. დერვიეჩენკო.

სოფელ გომის კოლმეურნეობა „მნათობში“ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულების შესახებ საინტერესო საუბრები მოაწყეს მასწავლებელმა-აგიტატორებმა თ. როსეფაშვილმა და მ. ნადარეიშვილმა. სოფელ მეტეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ნაყოფიერად მუშაობს აგიტატორი თამარ ლალიაშვილი.

რაიონში საარჩევნო კანონის პოპულარიზაციას ეწევა 700 აგიტატორი და მოსაუბრე-წამკითხველი.

წყალტუბო. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებსა და საწარმო-დაწესებულებებში 600-ზე მეტი აგიტატორი ეწევა საარჩევნო კანონის ახსნა-განმარტებას. დაიწყო ლექციების კითხვა თემებზე „სტალინური საარჩევნო კანონი“, „არჩევნების პრინციპი სსრ კავშირსა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში“, „საბჭოთა სასამართლო მშრომელთა უფლებების დამცველია“ და სხვ.

გავაშენოთ და მოვუაროთ ტყეებს

(რესპუბლიკური თათბირი სატყეო მეურნეობის საკითხებზე)

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტრომ თბილისში ჩაატარა რესპუბლიკური თათბირი.

მოხსენება საკითხზე—„ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის აგვისტოს სესიის შედეგები და სატყეო მეურნეობის მუშაკების ამოცანები“ გააკეთა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრმა ამხ. მ. ჯაშმა.

— რაც უფრო კარგად გვექნება შესწავლილი მატერიალისტური მიჩურინული ბიოლოგიური მეცნიერება, — განაცხადა მომხსენებელმა,—მით უფრო წარმატებით გადავწყვეტთ სატყეო მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებს. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა და პირადად ამხანაგი სტალინი უდიდეს ყურადღებას უთმობენ სატყეო მეურნეობის განვითარების საქმეს. საჭიროა ამ მზრუნველობას ვუპასუხოთ მუშაობის გაძლიერებით. ჩვენს რესპუბლიკაში ტყის დარგვისა და თესვის წლიური გეგმა წარმატებით სრულდება. ტყის შევსების გეგმა 103,5 პროცენტით არის შესრულებული, ფიჭვის თესლის დამზადებისა — 105,2 პროცენტით. ევკალიპტის ნერგის გამოყვანის ტექნიკას კარგად დაეუფლნენ კოლხიდის, ოჩამჩირისა და ქობულეთის სატყეო მეურნეობები, სადაც 1947 წელს წინა წელთან შედარებით თითქმის სამჯერ მეტი ნერგი გამოიყვანეს.

მომხსენებელი შეჩერდა იმ ნაკლოვანებებზე, რაც შემჩნეულია ტყის გაშენებისა და მოვლის დარგში. მაგალითად, ქლუხორის სატყეო მეურნეობაში ყოფილი დირექტორის ლეშკაშელის და ყოფილი უფროსი მეტყევის ჭელიძის დაუდევრობით დაიღუპა ფიჭვის ნათესი. ასევე დაიღუპა 20 ჰექტარი ფიჭვის ნათესი მცხეთის რაიონში (სატყეო მეურნეობის დირექტორი ამხ. ბუგიანიშვილი). ლაგოდეხის რაიონშიც დაიღუპა 0,5 ჰექტარი კორპის მუხის საცდელი ნათესი. ცუდად მუშაობენ აგრეთვე ონის, თელავის, ხაშურის, საჩხერის, თეთრი წყაროს და ზოგიერთი სხვა სატყეო მეურნეობანი.

მომავალ წლებში საგრძნობლად გაიზრდება ტყის გაშენებისა და მოვლის სამუშაოთა მოცულობა. მარტო თბილისის სატყეო მეურნეობამ 1950 წლიდან ხუთი წლის მანძილზე ყოველწლიურად 1.000 ჰექტარზე მეტი ტყე უნდა გააშენოს. დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ევკალიპტის გაშენებას, აღმოსავლეთ საქართველოში კი ვერხვის, ჭადრის, კვიპაროსის და ტყის სხვა ძვირფასი ჯიშების გაშენებას. მეტი მზრუნველობა უნდა გაეწიოს ტყის კულტურების სწორად დარაიონებას, თესლის დამზადებას, თესვას, რგვას, სამუშაოთა მექანიზაციას, მტკიცედ დავიცვათ ტყის ჭრის წესები.

ეჭვი არ არის,—თქვა დასასრულ ამხ. ჯაშმა,—რომ საქართველოს სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის მუშაკები საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით და დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ, რათა ღირსეულად გადაჭრან მათს წინაშე პარტიის მიერ დასახული ამოცანები და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

ბორჯომის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ამხ. წერეთელმა, რომელიც კამათში გამოვიდა, აღნიშნა, რომ ტყის განახლების, დაცვისა და ზრდა-განვითარებისათვის ხელის შეწყობის მხრივ რაიონში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. ტყეებს ხელაღებით ჭრიან, ნაკლები ყურადღება ექცევა ჩქარმზარდი ჯიშების აკლიმატიზაციას.

დუშეთის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ამხ. გრძელიძემ აღნიშნა, რომ საჭიროა სანერგე მეურნეობის მიახლოება გაშენების უბნებთან, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ჯიშთა შერჩევას და რგვის ვადების დაცვას.

თბილისის სატყეო მეურნეობის დირექტორი ამხ. ჯაფარიძე შეეხო ყარაიის ზონაში გაწეულ მუშაობას, ხოლო არაფერი თქვა თბილისის რაიონის ტყეების მდგომარეობაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ამხ. ნ. კეცხოველმა თავის სიტყვაში მკაცრად გააკრიტიკა დოცენტ ბ. გულისაშვილის წინადადება საქართველოს მთიან ტყეებში ინტენსიური ჭრის წარმოების შესახებ, რაც დიდი ხანია დაგმობილია, აგრეთვე აღნიშნა, რომ ახმეტის რაიონში უხეშად ირღვევა ტყის ჭრის წესები.

თელავის სატყეო მეურნეობის დირექტორმა ამხ. ჭანკოტაძემ, რომლის მომსახურებაში ახმეტის რაიონიც შედის, სცადა თავი ემართლებინა, თითქოს არაფერი იცის ახმეტის რაიონში ტყის ჭრის წესების დარღვევაზე.

საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ა. მარჯანიშვილი თავის გამოსვლაში შეეხო მეთესლეობის, ტყის რგვის, გაშენების, მოვლისა და მოწყობის საკითხებს.

საინტერესო იყო ბათუმის სატყეო მეურნეობის დირექტორის ამხ. გურგენაძის გამოსვლა. მან დამსწრეთ გააცნო თავისი გამოცდილება ჭადრის კალმების დაფესვიანების და კაკლის თესვის დარგში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. გულისაშვილმა დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა ტყის ჯიშთა აკლიმატიზაციის, ტყეების მოვლისა და გამოყენების წესების მტკიცედ დაცვის აუცილებლობაზე.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დოცენტებმა მარგველაშვილმა და ჩიხლაძემ, სამხრეთ ოსეთის სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. სანაკოევმა, აფხაზეთის სატყეო მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ამხ. თათარიშვილმა, სატყეო მეურნეობათა დირექტორებმა: ზუგდიდიდან—ამხ. მაქაცარიამ, მახარაძიდან—ამხ. მდინარაძემ, ჩოხატაურიდან—ამხ. სიხარულიძემ და სხვ., სულ 20 კაცმა.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე ამხ. ს. ჭელიძე.

თათბირმა მიიღო პრაქტიკული ღონისძიებანი.

პატარა ფელეტონი

აღმასრულებელი ფურცელი № 2/959

ეს იყო 1938 წელს...

მოქალაქე ლევან ამბაკოს-ძე ზამთარაძემ მიზანს მიაღწია, ხელი მოაწერა მასწავლებელ ე. ბ-ძესთან...

რას არ ჰპირდებოდა მეუღლეს ლ. ზამთარაძე, შაქარივით დნებოდა...

ბავშვიც დაიბადა. პატარა გოგონა გაჩნდა ოჯახში. დედის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ მამა...

ერთ მშვენიერ დღეს გავიდა სახლიდან და აღარ დაბრუნებულა.

— იქნებ შეემთხვა რამე!

— იქნებ!..

არა, ლევანი მოხერხებული კაცია, მას გზა არ აერევა.

— გუშინ გაითავისუფლა თავი სამსახურიდან,—უპასუხეს ე. ბ-ძეს, როცა ქმრის სამსახურს მიაკითხა.

— სადგურში ვნახე, ბათუმის მატარებელს გაჰყვა,—შეატყობინა ამბავი თავზარდაცემულ ქალს ლევანის ამხანაგმა.

— რატომ წავიდა?!

მიზეზი შემდეგ გამოირკვა. ლევან ზამთარაძეს ცოლი ჰყავდა, როცა მასწავლებელ ე. ბ-ძეს შეხვდა, მაგრამ დამალა. ანგარება ამოძრავებდა მაშინ, მასწავლებელი ქალის ქონებაზე რჩებოდა თვალი. გათავდა ქონება, და ლევანმაც გაითავისუფლა თავი სამსახურიდან, გაჰყვა მატარებელს და წერილიც მოიწერა: „მშვიდობით, ძვირფასო ე...! დღემდე ვერ გაგიბედე მეთქვა, მე ცოლი მყავს...“

მას შემდეგ რამდენიმე თვემ განვლო.

1940 წლის 14 ივნისს თბილისის მოლოტოვის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ლევან ზამთარაძეს დააკისრა ყოველთვიურად შემოსავლის ერთი მეოთხედი მიეცა მცირეწლოვანი შვილისათვის. გაიცა აღმასრულებელი ფურცელი № 2/959.

გაიცა აღმასრულებელი ფურცელი, მაგრამ...

ლევანი მოხერხებული კაცია, ხან ბათუმში ამოყოფს თავს, ხან თბილისში, ხან ლანჩხუთში. აღმასრულებელ ფურცელს დაინახავს თუ არა, მაშინვე სამსახურს ანებებს თავს.

დაიწყო მიმოწერა. უკანასკნელი განკარგულება 1948 წლის 11 მარტს დაიწერა, ბათუმის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს მიმართ:

„გაცნობებთ, რომ ბ. ფ. [illegible] მხატვრულ ნაწარმთა ტრესტის დირექტორს ჩვენ მიერ გადაეგზავნა აღმასრულებელი ფურცელი № 2/959 ლევან ამბაკოს-ძე ზამთარაძისათვის ალიმენტის გადახდევინების შესახებ.

გთხოვთ აიყვანოთ აღრიცხვაზე აღმასრულებელი ფურცელი და დავალიანების დაფარვამდე დააკისროთ ლ. ა. ზამთარაძეს გადასახდელად ხელფასის 50 პროცენტამდე.

აჭარის ასს რესპუბლიკის პროკურორი...“

სასამართლომ თავის მხრივ „აღრიცხვაზე აიყვანა“ აღმასრულებელი ფურცელი და დაავალა ბათუმის სამხატვრო ტრესტის დირექტორს მისი სისრულეში მოყვანა.

დირექტორმა ჯიმშელეიშვილმა მიიღო აღმასრულებელი ფურცელი № 2/959. ლევანმა გაიგო თუ არა ეს, მაშინვე სთხოვა დირექტორს მოეხსნა იგი სამსახურიდან. ლევანის თხოვნა „გულკეთილმა“ დირექტორმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილა და სასამართლოს მისწერა: „იმის გამო, რომ ზამთარაძე მოიხსნა სამსახურიდან, უკან გიბრუნებთ აღმასრულებელ ფურცელს № 2/959.

ტრესტის დირექტორი ჯიმშელეიშვილი“.

სად არის ამჟამად აღმასრულებელი ფურცელი?

არავინ იცის. სამხატვრო კომბინატის დირექტორი სწერს დაზარალებულ ე. ბ-ძეს, „ლევან ზამთარაძის მოხსნის გამო აღმასრულებელი ფურცელი № 2/959 გეგზავნებათო“, მაგრამ მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და იგი არ ჩანს. იქნებ შეეშალა პატივცემულ დირექტორს და ლევან ზამთარაძეს გაუგზავნა ლანჩხუთში. საინტერესოა, იმას მაინც რატომ არ შეუშინდა, რომ ბათუმის პირველი უბნის სახალხო სასამართლომ „აღრიცხვაზე აიყვანა“ აღმასრულებელი ფურცელი № 2/959.

ჩვენ ვფიქრობთ, საჭირო იქნება აღმასრულებელი ფურცლის ნაცვლად პროკურატურისა და სასამართლოს ორგანოებმა „აღრიცხვაზე აიყვანონ“ თვითონ ლევან ზამთარაძე და მისი მოხსნა-დანიშვნის და ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლის საქმეში გარკვეულობა შეიტანონ.

ბ. ეკალაძე

შეუნელებელი ყურადღება კოლმეურნეობათა რადიოფიკაციას

კავშირგაბმულობის გორის განყოფილების ხაზით 2.030 რადიოწერტი მუშაობს. სოფელ ადგილებში 468 რადიოწერტია. მეჯვრისხევის რადიოკვანძი 6 კოლმეურნეობას ემსახურება, ტყვიავისა—2 კოლმეურნეობას. კარგად მომუშავე საუწყებო კვანძი აქვს კოლმეურნეობა „წითელ ერეთს“. რადიოფიცირებულია ზემო ხიდისთავის, ბერბუკის და ქვემო ხიდისთავის კოლმეურნეობები.

ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკოლმეურნეო სოფლების რადიოფიკაციის საკითხი. დაისახა ღონისძიებანი მთიანი სოფლების—ბოშურისა და ფიცესის რადიოფიკაციის უზრუნველსაყოფად. ამ საქმისათვის თვითეულმა სოფელმა გამოყო 12.000 მანეთი. ბოშურსა და ფიცესში რადიოკვანძების მოწყობის შემდეგ რადიოწერტი ექნება 100-მდე კოლმეურნეს.

ზოგან რადიო ნორმალურად არ მუშაობს. ტყვიავის რადიოკვანძის მუშაობა შეფერხებულია რადიოტექნიკოსის ამხ. ვ. გეორქოვის მოუქნელი მუშაობის გამო.

გორის რაიონის სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა კიდევ მეტად უნდა გააძლიერონ ზრუნვა კოლმეურნეობათა რადიოფიკაციისათვის.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ახალგაზრდა პატრიოტები

იმ კაცის ვინაობა არ მიკითხავს. გულს კი ჩამრჩა მისი სიტყვები. დეკემბრის ერთ მზიანსა და უჩვეულოდ თბილ დღეს რკინიგზის ჩიხს ძივყვებოდი თანამგზავრთან ერთად. ერთ მხარეზე დახორგილიყო რკინა-ლითონი, ახალი გოლიათი დაზგადანადგარები, მოწყობილობანი, საშენი მასალები. მოშორებით, ცალკე—ხე-ტყე ეწყო. სწორედ აქ შემხვდა ის კაცი მაზარაწამოსხმული. მკერდზე ეტყობოდა, ომგადახდილი იყო. აქ მოვკარ ყური მის სიტყვებს: „მეცნობი, არყის ხევ. სმოლენშჩინიდან თუ ხარ ან ბრიანსკიდან“.

შევჩერდი. ტანმოხატულ არყის ხეებს დავაკვირდი. „მეცნობი, არყის ხევ, — განიმეორა ჩემმა გულმაც, — საიარესაც გამჩნევ, ეს — იქნებ იმ ქართველისკენ წამოსული ტყვია შეგიჩერებია“.

ეს იყო მიზეზი, თუ სხვა რამ, — რუსთავში გატარებულ იმ დღეებში ფრონტელის თვალით ვაკვირდებოდი ყველაფერს. რუსთავი მართლაც ფრონტის ერთი დიდი უბანია. მერე რა რომ აქ ქვემეხები არა ქუხან. ერთი მსგავსება უდავოდ არის.—შეტევა! აქაც არანაკლები სისწრაფით უტევენ, ვიდრე იქ, ფრონტზე, დიდი სამამულო ომის დროს რომელიმე გვარდიული დივიზია უტევდა.

* * *

რუსთავში ახლა მეტად დაძაბული მუშაობაა. 25 დეკემბერს თბოელექტროცენტრალი უნდა ამუშავდეს. მას თითქმის ორი ზაჰესის ოდენა ძალა ექნება, მთლიანად უზრუნველყოფს რუსთავს და ჭარბად მიაწვდის ელექტროენერგიას თბილისსაც. ამ მშენებლობის შეკვეთებზე მუშაობენ საამქროები, სადაც ახალგაზრდები შრომითი მამაცობის მაგალითს უჩვენებენ.

ჯიბრაილ ბერიშვილი დილას თავის დაზგასთან რომ მივიდა, კედელთან გაკრული ასეთი მოწოდება წაიკითხა: „ელვა. ამხ. ბერიშვილს! თბოელექტროცენტრალმშენი ელის შენგან დღეს 900 ცალ ჭანჭიკს...“

კომკავშირელი ბერიშვილიც შეუდგა დავალების შესრულებას. მე ვნახე იგი რევოლვერულ დაზგასთან მუშაობის დროს. მთელი გატაცებით რანდავდა ლითონის დეტალს; ძისი დაზგის ხან გამსჭვალავი სტვენა, ხან მონოტონური გრაგანი, ახალგაზრდა ოსტატის ენთუზიაზმით დახრა დაზგაზე ძე ძივიჩნიე ველიკიე ლუკთან გმირულად დაღუპული კომკავშირელი მეტყვიამფრქვევის კოლკა სმირნოვის საქმის გაგრძელებად. მტრის ტყვიამ განგმირა სმირნოვის მკერდი დიდების ორდენსა და კომკავშირულ ბილეთში გავლით. ბილეთი რომ ამოვუღეთ, შიდა ფურცელზე ასეთი სიტყვები ამოვიკითხეთ: „მოვკვდები, მაგრამ უკან არ დავიხევ!“.

ძნელი საქმე იყო უსათუოდ, მაგრამ არც კომკავშირელ ბერიშვილს დაუხევია უკან იმ დღეს შრომის ფრონტზე—ათასი ცალი ჭანჭიკი ჩააბარა თბოელექტროცენტრალის მშენებლებს.

მეორე დილას იქ არ დამხვდა ბერიშვილი. მის დაზგაზე კომკავშირული კომიტეტის წითელი ალამი ფრიალებდა. ვკითხე ბიჭებს,—თავის დაზგასთანაა, მეორე დაზგასთანო, მითხრეს. „როგორ, ეს განა სხვისი დაზგაა?“ „დაზგა მას სამი აქვს, — მიპასუხეს ერთხმად,—ახლა ის მრგვალ სახეხ დაზგასთან ტრიალებს. დიდი დავალება აქვს. დღეს უნდა მოათავოს, პირობა დადო“.

მივედი. გამარჯვება ვუთხარი. ხელშეუხებლივ მაჯა გამომიწოდა, როგორც დაზგის მუშებმა იციან ხოლმე, როცა გამურული ხელი აქვთ.

— სასწრაფო დავალება გქონია.

— დღეს უნდა მოვათავო. არავინ ელის კი,—მიპასუხა კეთილი ღიმილით და დაზგაზე დაიხარა, ჩარხი ააბრუნა...

ხუთასი ცალი ღერძის დამზადება მოათავა იმ დღეს ჯიბრაილ ბერიშვილმა, — საქმის დაწყებიდან მესამოცდაათზე საათზე. ნორმით კი შვიდასი საათი სჭირდებოდა ამ საქმეს. კომკავშირელმა მშენებელმა აბუჩად აიგდო ეს ნორმა, იმდენად გადააჭარბა მას.

ბერიშვილმა იცის, სათქენ მიმავალ მანძილს ამოკლებს, როცა ასე მუშაობს.

ამაშია რუსთავის იმ 795 კომკავშირელი მშენებლის, რა თქმა უნდა, მეტნაკლები, წარმატების საიდუმლოება, რომლებმაც წლიური დავალება ჯერ კიდევ კომკავშირის იუბილესათვის გაანაღდეს. ორასამდე კომკავშირელმა სამი-ოთხი წლის დავალება შეასრულა, ხოლო შვიდმა უკვე უპატაკა თავიანთი ხუთწლიანი გეგმის შესრულება.

* * *

როგორც ფრონტზე ერთ რომელიმე მოიერიშე ნაწილს მხარს უჭერს ყველა გვარეობის ჯარი, ასეა აქაც. თბოელექტროცენტრალის საექსპლოატაციოდ გადაცემა 25 დეკემბერს! — აი რუსთავის მშენებელი კოლექტივის მთავარი საზრუნავი ახლა. ამ შეკვეთებზე მუშაობს ხის დამმუშავებელი საამქროს ახალგაზრდობაც.

დურგალი! — მის უწყინარსა და მშვიდობიან საქმიანობას თითქოს დისონანსი შეაქვს იმ ამაღლებულ შთაბეჭდილებაში, რასაც იღებ რკინა-ბეტონისა და ლითონების დუღილის ვითარებაში, გოლიათი დაზგა-დანადგარებისა და მოტორების ამ გუგუნში, ცადაწვდილი თბოელექტროცენტრალის, მარტენის ღუმელის, ბლუმინგისა და ნაგლინმშენის დათვალიერების შემდეგ.

მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ დურგალი ვანო შუბითიძე არანაკლებ საქმეს აკეთებს, ვიდრე რომელიმე მებეტონე ან მემონტაჟე. ვანო იმ ახალგაზრდა მეტალურგების ტოლია, ათასობით რომ მომზადდა რუსთავისათვის ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიულ ცენტრებში. კომკავშირელ შუბითიძის ძირითადი პროფესია მოდელების კეთებაა. აი მასთან მოდის სწორედ ის არყის ხე, რომელმაც ჩვენი ყურადღება მიიქცია. არყის ხისაგან კეთდება მოდელი რთული დანადგარებისა და ხელსაწყოებისათვის. ვანო შუბითიძე დაჰყურებს ახლა რთულ ნახაზებს, რომლის მიხედვით უნდა მისცეს საჭირო ფორმა ხის მასალას, რომ შემდეგ მისი ზუსტი მოდელისაგან ჩამომსხმელი საამქროს ახალგაზრდებმა — მემანქანე გიორგი გიორგობიანმა და მეყალიბე სოსო ალადაშვილმა ლითონი ჩამოასხან.

აქ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ახალგაზრდებისა და კომუნისტი ინჟინრის გიორგი რაზმაძის შემოქმედებითი თანამეგობრობა. სწორედ მან მიაღებინა ვანო შუბითიძეს მეორე პროფესია —დურგლობა. სერგო ჩირგაძემ სტალინოში მიიღო მემოდელე მეყალიბის პროფესია... მაგრამ, რადგან რუსთავში ჯერ ამ პროფესიის საჭიროება არ იყო, ინჟინერმა რაზმაძემ მას მეორე სპეციალობა შეასწავლა და ახლა ეს კომკავშირელი სტახანოვურად მუშაობს ჩამომსხმელი საამქროს შეკვეთებზე. ასევე ორი პროფესია აქვთ: გიორგი იობაშვილს, სოსო ალადაშვილს.

კომუნისტი ალექსანდრე ხარებავა ხელმძღვანელობს სამანქანო დარბაზის მშენებლობას. აქ დაიდგმება მთელი ბლუმინგის მოძრაობაში მომყვანი ელექტრომოწყობილობა. მშენებლობაზე ზოგიერთი ახალგაზრდა არ იძლეოდა კარგ მაგალითებს, მოიკოჭლებდა დისციპლინა. აქ კომუნისტებმა მათი აღზრდისათვის მამობრივი მზრუნველობა გამოიჩინეს.

— ჯერ სულ ახალგაზრდები არიან, —თქვა თათბირზე კომუნისტმა ხარებავამ, — ბევრი მათგანი სოფლიდან ახალი ჩამოსულია. უნდა შავაჩვიოთ, გავწაფოთ. უზარმაზარ ლითონებს ვიმორჩილებთ და საჭირო ფორმას ვაძლევთ, მით უფრო შესაძლებელია ამ ჭაბუკების აღზრდა...

თვის ბოლოს ერთი-ორი უდარდელი ყმაწვილი ჩააფიქრა მიღებულმა მცირე ხელფასმა. კომუნისტი ხარებავაც მათთან გაჩნდა, მწარე გაკვეთილზე მიუთითა, მეორე ბრიგადის ახალგაზრდა მუშების, კომკავშირელების მჭედლიძისა და შიხიაშვილის სტახანოვურ შრომაზე მოუთხრო, მათი მაღალი ხელფასი ახსნა...

ხარებავა ამას როდი დასჯერდა. საღამოთი მუდამ შეაჯამებდა ხოლმე ახალგაზრდების ნამუშევარს, მიუთითებდა, გაარკვევდა ტექნიკურ და პრაქტიკულ საქმეებში, მუდამ თავს დასტრიალებდა ხან ერთს, ხან მეორეს. საცხოვრებელ ბინებშიც აკითხავდა. ხარებავას ინიციატივით სტახანოველ ელექტროშემდუღებელს — გიორგი ჩელაკს ბინა შეუკეთეს. ასევე, საკუთარი ძალებით, არემონტებენ ახალგაზრდა მუშების ერთი ჯგუფის ბინას. მოეწყო სპორტული მოედანი. ახალგაზრდებს გამოუყვეს ცალკე სამუშაო ობიექტი — სამანქანო დარბაზის რკინა-ბეტონით გადახურვა. ახლა არც ერთი ახალგაზრდა არ ჩამორჩება. გაუმჯობესდა მათი საყოფაცხოვრებო პირობები. ექვსას მანეთზე ნაკლებს არც ერთი არ იღებს თვეში.

ბლუმინგისათვის უკვე ამოშენებულია საფუძველი, რომელსაც ათი ათასი კუბური მეტრი ბეტონი დასჭირდა. ახლა მიმდინარეობს საფუძვლების ამოშენება ოთხი სხვა დანადგარისათვის. საერთოდ ნაგლინმშენი ერთ-ერთი მთავარი უბანია რუსთავში. აქ შენდება ის კორპუსი საამქროებისა, საიდანაც უშუალოდ მიიღებს ქვეყანა მზა პროდუქციას.

მთავარი ინჟინერი ი. ბობიატინსკი კმაყოფილებით იხსენიებს ახალგაზრდა ქართველ სპეციალისტებს — სამუშაოთა მწარმოებელ ნოდარ ხუხუნაშვილს, ინჟინერ-მშენებლებს გიორგი შავიშვილს, სოლომონ რაზმაძეს. ისინი დღითი დღე იღრმავებენ ტექნიკურ ცოდნას პრაქტიკული მუშაობით.

თუ წარმოვიდგენთ, რომ რუსთავი—მეოთხე სტალინური ხუთწლედის ეს დიდი ობიექტი — გაშლილი შრომის ფრონტია, — მაშინ რუსთავის მშენებელი ახალგაზრდები ამ ფრონტის მოწინავე ხაზის მამაცი მეომრები არიან. მათს უკან დგას მეორე ეშელონი ახალგაზრდა მეტალურგებისა, რომლებიც ელიან გენერალური შეტევის დაწყებას ქართული ფოლადისათვის. ფრონტელებმა იციან, რა არის მეორე ეშელონი ჯარების საბრძოლო განლაგებისას. ამ ათასობით ახალგაზრდა ქართველ მეფოლადეს, რომლებიც ჩვენმა ქვეყანამ დიდ მეტალურგიულ ცენტრებში გამოზარდა რუსთავისათვის და ახლა მიმოფანტული არიან რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში, — მე ვადარებ მეორე ეშელონს, რომლის მეომრებს ესმით ცეცხლის ხაზის არც ისე შორეული გუგუნი. როცა მშენებლები ხარაჩოებიდან ჩამოვლენ, მეფოლადეები დაიკავებენ თავიანთ ადგილს ბლუმინგთან და მარტენის ღუმელთან. სწორედ ამ სანეტარო დროს ელოდებიან ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც ჯერჯერობით დანიშნულებისამებრ ვერ არიან გამოყენებულნი.

ასობით წერილი მოდის ამ ახალგაზრდებისაგან კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტის სახელზე. ამ წერილებში გამოხატულია მისწრაფება, ლტოლვა ახალი სოციალისტური ქალაქისაკენ. როცა ეცნობი ამ მიმოწერას, სიხარულით გევსება გული. აი, პირველშეხვედრილი წერილი, ერთი ათასთაგანი:

„სალამი, ამხანაგებო! მე, როგორც თქვენთვისაც ცნობილია, ვარ საქართველოს მეტალურგიული ქარხნის ერთ-ერთი მუშაკთაგანი, ერთ-ერთი მოქალაქე ქალაქ რუსთავისა, ახალი სოციალისტური ქალაქისა. მე ყოველთვის ვფიქრობ ჩემს ახლო მომავალზე, რუსთავში ახალი ცხოვრების შექმნაზე, და ვფიქრობ, როდის იქნება, რომ დავიწყო ახალი ქარხნის მარტენის საამქროში მუშაობა, რადგან სპეციალობით ვარ მეფოლადე მე-8 თანრიგისა. როგორც იცით, მე გაგზავნილი ვიყავი ქ. ტაგანროგის მეტალურგიულ ქარხანაში ცოდნის მისაღებად, რომ ოსტატად დავბრუნებულიყავი სამშობლო საქართველოში, ქ. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. აი კიდევაც დავბრუნდი და ახლა მსურს, ძალიან მსურს რაც შეიძლება მალე გავხდე ქალაქ რუსთავის მცხოვრები და მეტალურგიული ქარხნის მუშაკი. თუმცა არც აქა ვარ უსაქმოდ. აქაც ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნე ვარ. ვიბრძვით ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის გასანაღდებლად—უხვი მოსავლის მისაღებად. ასევე გულმოდგინედ და მოწადინებით ვიმუშავებ ქარხანაში, ასევე პირნათლად შევასრულებ ყველა დავალებას. ისეთი მოწინავე მუშა ვიქნები ქარხანაში, როგორიც ვიყავი ქ. ტაგანროგში, მალე გეწვევით ახალ საამქროში. გამარჯვებით.

გწერთ თქვენი ამხანაგი და მეგობარი მიხეილ გიორგის-ძე შიობრიშვილი. 1948 წ. 12 ოქტომბერი“.

ახალგაზრდა ქართველი პატრიოტის გულიდან ამოფრენილ ამ პატარა ბარათს არანაკლები წონა აქვს, ვიდრე უმძიმეს ბლუმინგს.

რუსთავი ფანტასტიკური მოთხრობის აჩქარებას ჰგავს,—ისე სწრაფად წამოიზარდა ტრამალზე თბილისის ეს უმცროსი ძმა — ქართული ფოლადის ახალი ქალაქი.

რუსთავი დიდი ქართული წიგნის ღირსია.

ამ წიგნში რუსთავის ახალგაზრდობა უთუოდ საპატიო ადგილს დაიჭერს.

ვლადიმერ თოლდუა

ქ. რუსთავი.

უშიშროების საბჭოში

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიამ განიხილა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღების საკითხი უშიშროების საბჭოს იმ სპეციალურ მოხსენებებთან დაკავშირებით, რაც ეხებოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, პორტუგალიის, ტრანსიორდანიის, ირლანდიის, ავსტრიის, იტალიის, ფინეთისა და ცეილონის მიერ შეტანილ განცხადებათა განხილვის შედეგებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და ინგლისის დელეგაციები გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიღების წინააღმდეგი იყვნენ, გენერალურმა ასამბლეამ ხმის დიდი უმრავლესობით მიიღო შვეციის დელეგაციის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელსაც მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის დელეგაციამ და მთელ რიგ სხვა სახელმწიფოთა დელეგაციებმა. ეს რეზოლუცია რჩევას აძლევს უშიშროების საბჭოს გადასინჯოს ყველა შეტანილი განცხადება და აღნიშნავს „საერთო განწყობილებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უნივერსალობის პრინციპის სასარგებლოდ".

მიუხედავად იმისა, რომ ეს საერთო რეზოლუცია არსებობს, ინგლის-ამერიკის ბლოკმა, რომელიც ხელმძღვანელობს მისთვის სასურველ სახელმწიფოთა მფარველობის პოლიტიკით, მიაღწია მთელი რიგი კერძო რეზოლუციებას მიღებას, რომლებიც უშიშროების საბჭოს ურჩევენ გადასინჯოს პორტუგალიის, ტრანსიორდანიის, ირლანდიის, ავსტრიის, იტალიის, ფი-

...

ციას ახორციელებენ ზოგიერთი სახელმწიფოს მიმართ და მფარველობას უწევენ სხვა სახელმწიფოებს.

მაგრამ ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელნი უშიშროების საბჭოში კვლავ დაჟინებით იცავდნენ თავიანთ მოთხოვნას და აშკარად სურდათ გამოეწვიათ საბჭოთა კავშირის კიდევ ერთი „ვეტო". ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა, რომელიც თავს

...

უჭირა სირიის წარმომადგენელმა, რომელმაც კვლავ თავისებურად გაილაშქრა ისრაელის წინააღმდეგ.

საფრანგეთის დელეგატის თხოვნით ამ საკითხის განხილვა გადაიდო 17 დეკემბრისათვის.

ჰაიდარაბადში შექმნილი მდგომარეობის საკითხი გადაიდო მანამდე, სანამ უშიშროების საბჭო ლეიკ-საქსესში შეიკრიბება.

პატიმარ ფრანგ მაღაროელთა წერილი

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). ქალაქ შალონ-სიურ-მარნის 22 პატიმარმა მეშახტემ თავის ფედერაციაში გაგზავნა შემდეგი წერილი: „ძვირფასო ამხანაგებო, მეშახტეთა ტრადიციული დღესასწაულის დღეს (4 დეკემბერი. — რედაქტორის შენიშვნა) ჩვენ გვსურს სალამი გადავცეთ მაღაროელთა დიდსა და სახელოვან ფედერაციას. მივესალმებით მას და მადლობას მოვახსენებთ ყოველივე იმისათვის, რაც მან გააკეთა მშრომელი მეშახტეებისათვის. მივესალმებით და წინანდებურად მას ვანდობთ მაღაროელთა ხელმძღვანელობას ღირსების, თავისუფლებისა და ბედნიერების გზაზე.

ჩვენ საპატიმროში დაგვამწყვდიეს, რადგან ჩვენ ვიბრძოდით იმისათვის, რომ ჩვენ და ჩვენს შვილებს საარსებო პური გვქონოდა.

სასტიკი რეპრესიები, რომელთაც ჩვენს წინააღმდეგ იყენებენ, ვერ გასტეხენ ჩვენს ნებისყოფას ბრძოლის და გადამწყვეტი მოქმედებისადმი. ჩვენ შევინარჩუნეთ მხნეობა..

დღეს გასეირნების დროს საზეიმო წუთიერი დუმილით პატივი დავდეთ ჩვენი დაღუპული ამხანაგების ხსოვნას. ჩვენ შევფიცეთ განვაგრძოთ ჩვენი საქმე იმისათვის, რომ მივაღწიოთ ჩვენი შახტების სრულ აყვავებას, ხალხის კეთილდღეობასა და ბედნიერებას და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობას".

გაიხსნა პოლონეთის მუშათა პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა

ვარშავა, 15 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახლადაღდგენილი შენობის დარბაზში გაიხსნა პოლონეთის მუშათა პარტიების გამაერთიანებელი ყრილობა.

...

კურმა პარტიამ სოციალიზმიააშენა. რუსმა ხალხმა შექმნა ხალხთა ძმური კავშირი—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი. ხალხთა ასეთი კავშირი და ძმობა ისტორიას არ ახსოვს. (მქუხარე ტაში). როცა ბერუტმა ახსენა საბჭოთა კავშირის უდიდესი დახ-

...

ბრძოლას მათი ქვეყნების ფაშიზმისა და საერთაშორისო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, აგრეთვე მოძმე პარტიების სხვა დელეგაციათა პატივსაცემად.

ბერუტმა გაერთიანებული მუშათა კლასის სახელით გახსნილად გამოაცხადა ყრილობა.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყრილობა

ვარშავა, 14 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში, პოლონეთის ჯარის თეატრში შედგა პოლონეთის სოციალისტური პარტიის 28-ე ყრილობა, რომელზეც ჩამოვიდა 520 დელეგატი.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის მთავარი საბჭოს თავმჯდომარემ კოვალჩიკმა აღნიშნა, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის ეს ყრილობა ბოლოს მოუღებს გათიშვასა და უთანხმოებას მუშათა კლასის რიგებში და მოსპობს იმ ხვრელებს, რომლებითაც პარტიაში ძვრებოდნენ კლასობრივი მტრები და ასუსტებდნენ სოციალიზმისათვის ბრძოლის ფრონტს.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური საანგარიშო მოხსენება გააკეთა პოლონეთის სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ცირანკევიჩმა, რომელმაც გააშუქა ბრძოლის ეტაპები პოლონეთის სოციალისტურ პარტიაში, რაც მისი მემარჯვენე ფრთის განადგურებით დამთავრდა და შეიქმნა პირობები პოლონეთის მუშათა პარტიების გაერთიანებისათვის.

ყრილობის მონაწილენი უდიდესი ენთუზიაზმით შეხვდნენ ცირანკევიჩის სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც მიძღვნილია საკავშირო კ. პ. (ბ), საბჭოთა კავშირის მოწინავე როლისა და მუშათა კლასის ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინის როლისადმი.

ყრილობამ მქუხარე ოვაციით მიიღო გადაწყვეტილება პოლონეთის მუშათა პარტიისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიის გაერთიანების შესახებ.

შოტლანდიის მაღაროელები აღშფოთებული არიან ფრანგ მაღაროელთათვის ფულის გადაცემის დაგვიანების გამო

პარიზი, 15 დეკემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, შოტლანდიის მაღაროელთა წარმომადგენლების სხდომაზე გადაწყვიტეს დელეგაცია გაგზავნონ საფრანგეთში, რათა „გამოარკვიონ, რა მიზეზით დაუგვიანეს გაფიცულ ფრანგ მაღაროელებს 1 ათასი გირვანქა სტერლინგის ჩეკის გადაცემა", რომელიც მათ შოტლანდიელმა მაღაროელებმა გაუგზავნეს.

შოტლანდიის მაღაროელთა წარმომადგენლებმა კონსერვატორ დეპუტატს უაიტ სთხოვეს წაჰყვეს დელეგაციას.

„როგორც ცნობილია, — წერს გაზეთი „ლუმანიტე", — უაიტი ცილისმწამებლურად ამტკიცებდა, რომ ეს ფული გამოიყენა შრომის საყოველთაო კონფედერაციამ თავი-

...

საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის შედეგები

პირველი და მეორე ადგილი გაიყვეს გროსმაისტერებმა დ. ბრონშტეინმა და ა. კოტოვმა

როგორც ცნობილია, ჩემპიონატის 13 დეკემბერს გათამაშებული უკანასკნელი ტურის შემდეგ დაუმთავრებელი დარჩა ორი პარტია: ბრონშტეინ-კოტოვისა და ალატორცევ-კონსტანტინოპოლსკისა.

14 დეკემბერს დილით, ბრძოლის გაგრძელებისას, ბრონშტეინი და კოტოვი ყაიმზე შეთანხმდნენ. ამრიგად, თვითეულმა მათგანმა 12

...

ლავნა განსაკუთრებული სიდინჯე და სიმტკიცე. საკმარისია ითქვას, რომ სტოკჰოლმის ამასწინანდელ საერთაშორისო ტურნირში და ამ ჩემპიონატში ნათამაშევი 37 პარტიიდან მან მხოლოდ ერთი პარტია წააგო. ბევრი ვერ დაიკვეხნის ასეთ შედეგს. ბრონშტეინს ძლიერ კარგად ესმის საჭადრაკო პოზიცია. ეს მას შესაძლებლობას აძლევს დროულად მიიღოს საჭირო პრო-

...

ოსტატმა ებრალიძემ (8 ქულა), მეოთხე და მეხუთე ადგილი გაიყვეს სოროკინმა და შიშოვმა (7½ ქულა თვითეულს).

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ პირველ სამ გამარჯვებულთაგანს შეჯიბრების განმავლობაში დამარცხება არ განუცდია.

დამთავრდა ამიერკავკასიის მოჭადრაკეთა ტურნირი

უკანასკნელ, მეცამეტე ტურს მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეუტანია შეჯიბრების მონაწილეთა განლაგებაში.

მაკაგონოვმა მოუგო სოროკინს. ამ გამარჯვებით მან უზრუნველყო ტურნირში პირველი ადგილის დაკავება. ტურნირის მეორე ლიდერმა პეტროსიანმა პარტია სარქისიანთან ყაიმით დაამთავრა. შიშოვი და გიორგაძე ყაიმზე შეთანხმდნენ. ებრალიძემ მოუგო ზუსლაევს, ამირხანოვმა — ბლაგიძეს.

მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას, 19 დეკემბერს, დღის 1 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შედგება სრულიად საკავშირო მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების სასკოლო სექტორის საერთო კრება.

დღის წესრიგშია მოხსენებანი: 1. მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის, პროფ. ვ. მ. კაკაბაძისა — საქართველოს ტექნიკის ისტორიის შესწავლისათვის; 2. ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ი. აზელტდიანისა — ზოგიერთი მასალები ძველი საქართველოს ტექნიკის ისტორიიდან; 3. ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატ ე. მ. ნიკოლაიშვილისა—აირად ფაზაში მაგნიუმის კრისტალიზაცია.

შესვლა თავისუფალია.

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, პლეხანოვის სახელობის კლუბში (საბჭოს ქ. № 128) მოწვეულია ქ. თბილისის ლენინის რაიონის XXV პარტიული კონფერენცია.

18 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, ფილარმონიის შენობაში (პლეხანოვის პროსპ. № 123) მოწვეულია ქ. თბილისის სტალინის რაიონის XX პარტიული კონფერენცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 28 დეკემბერს, დღის 11 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომის დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8) **მიხეილ ვასილის-ძე ცერცვაძე** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Революционное движение 1902-1905 гг. в Гурии".

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. ფირცხალაიშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნ. მახარაძე**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მ. დუმბაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად: ქართული ენის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი, ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე — პროფესორი ან დოცენტი, ფსიქოლოგიის კათედრის გამგე—პროფესორი ან დოცენტი, უცხო ენების კათედრის გამგე—დოცენტი, მსოფლიო ლიტერატურის კათედრის გამგე—პროფესორი ან დოცენტი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთა განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ...

...

მეცნიერო ხარისხის ცნობები, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, მეცნიერული შრომების სია და თვითონ მეცნიერული შრომები.

კონკურსის ვადა—15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. მისამართი ქ. ზესტაფონის საქარის მეცენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგური.

ამ დღეებში

კიო

იყიდება ბილეთები
რსფსრ დამსახურებული
არტისტის
კიოს და მისი
75 ასისტენტის
გასტროლებისათვის
ბილეთები იყიდება სალაროებში:
სახელმწიფო ცირკის კიბის ასავალთან,
...

თან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-6 უბნის სახალხო სასამართლო.

რიძე, თამარ ლოლობერიძე, ლიდა ქეთათელაძე, თამარ მამალაძე, ვერა ქიქოძე, რაისა ქარცივაძე იუწყებიან **შუშანა ლომინაძე-ნიჟარაძის** გარდაცვალებას.

ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი თანაგრძნობას უცხადებს გ. ჯაყელს მისი დედის **ბუფუ ბეჟანის ასულ ჯაყელის** გარდაცვალების გამო.

იუწყებიან **ივანე დიმიტრის-ძე აბულაძის** (ქიზიყელის) გარდაცვალებას. პანაშვიდი 17-XII, 7 ს. გამოსვენება 18-XII, 5 ს. შრომის შესახვ., 35.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორი—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 110.000 უე 17212